საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3666
18/05/2023

3666-21-2-202305180953

შპს „კოდორს“
მის: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თემქა IV კვ. კორპ. 1, ბ.
ელ. ფოსტა: info@ecometer.org.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3092 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ღრმაღელეს“ რეკონსტრუქციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაზე თანდართული სს „თელასის“ წერილის თანახმად, კომპანიას არ გააჩნია 110 კვ-ის საკაბელო მეურნეობა და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს მის მომსახურეობას და ექსპლუატაციას, ასევე, დაზიანების პირობებში შესაბამისი პროცედურებისა და აღდგენითი სამუშაოების განხორციელებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით სს „თელასის“ მიერ საქმიანობის განმახორციელებლისგან მოთხოვნილია სს „თელასთან“ წარადგინოს და შეათანხმოს დაკაბელების შემთხვევაში შესაძლებელი მომსახურების პირობები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს შპს „კოდორის“ მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებაზე სს „თელასთან“ შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში №1 და №2 საყრდენს შორის გათვალისწინებულია დამატბით ერთი (№1ა) საყრდენის მოწყობა. წარმოდგენილი ინფორმაციით, №1 საყრდენიდან №1ა საყრდენამდე ეგხ-ის მონაკვეთი იქნება მიწისქვეშა, ხოლო №1ა საყრდენიდან არსებული კაბელი დაუერთდება №2 საყრდენს (საჰაერო მონაკვეთი). სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საპროექტო ეგხ-ის საჰაერო მონაკვეთის შესახებ (ტრასის სიგრძე, მარშრუტი და სხვა.);

- წარმოდგენილ shp ფაილებში სრულად უნდა იქნეს ასახული ეგხ-ის სარეკონსტრუქციო მონაკვეთი და შესაბამისი ბუფერი (№1 დან №2 საყრდენის ჩათვლით, მათ შორის №1ა საპროექტო საყრდენი);
- დოკუმენტში მოცემული არ არის არსებული №1 და №2 საყრდენების განთავსების GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საკაბელო ხაზის ტრანშეის პარამეტრები;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში მოსალოდნელი ნარჩენების სავარაუდო სახეობების, დროებითი განთავსებისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოებში გამოსაყენებელი ტექნიკის შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო